



რატა დარჩა? მხოლოდ ოლიმპიური ოქრო!



ეროვნული მემორიალი

სპორტული

საპარტაშოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

5 აპრილი, 1990 წ. № 146 (10 815) შპსი 8 კაპ.

შეიქმნა 1934 წლის 13 აპრილიდან

გაბგარტლეზოდან ასე იგედი!



პირველი დღის ასპარეზობის შემდეგ მოგვინებდა ისე განვითარდა, როგორც მისალოდნელი იყო ინდივიდუალურ და სინქრონულ წყვილთა გამოსვლებში. მცირეოდენ კორექტივებს ჰქონდა ადგილი, მაგრამ მთავარი მაინც უტყველოდ დარჩა. ვაკეებშიც და გოგონებშიც, ყველა მონაწილემ მაქსიმუმ ორსაბამი საფეხურით შეინაცვლა ადგილი — ზოგმა ზევით, ზოგმა ქვევით. გამონაკლისი არც ქართველი ბატუტისტები ყოფილან. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები — გიორგი გავუა და რემიკ პოლოზიანი, სამწუხაროდ, სწორედ პირველ დღეს დაშვებულ შეცდომებში მიხვდნენ, ფინალურ ასპარეზობის მიღმა დარჩნენ (ერთეულთა თანრიგში). გიორგიმ, მართალია, მეოცე ადგილიდან მეთექვსმეტეზე გადმოინაცვლა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საქმარისი ფინალში გასასვლელად; ხოლო რემიკმა, პირველი — პირველი დღის მარცხს ახალი დაუმბატა — საგაღებელი ვარჯიშის მეთხუთმეტის შესრულების დროს გაჩერდა, მომდევნო ელემენტი დაეიწყა (დიახ, ასეც ხდება). ეს ფაქტი გამოხატავს არა იმდენად სისუსტეს ჩვენი სპორტსმენისას, არამედ უფრო იმ საერთო დაძაბულობას, რაც აღინიშნება ტურნირზე. მით უმეტეს, როგორც თითქმის სპორტის ყველა სახეობაში, საქართველოს ბატუტისტთა ნაკრებს ფსიქოლოგი ჭერაქრობით არ ჰყავს.

გავუას და პოლოზიანის წარუმატებელი გამოსვლის საკომპენსაციოდ რევიზ ხარატიშვილმა კვლავ ჩინებულად იასპარეზა და ინდივიდუალურ ხტომებში შეინარჩუნა პირველი ადგილი, მეორეა უკრაინელი ალექსეი გეოზდიკოვი, მესამე — მისი თანაგუნდელი რუსლან ტაუბერი. მართალია, კახაბერ ქვლივიძე კვლავ მეათეა, მაგრამ საპრიზო ადგილის მოპოვების შანსი არ დაუკარგავს. რ. ხარატიშვილი და ქვლივიძე ფინალურ ტურნირში იასპარეზებენ.

გოგონებში მხოლოდ ირინა მიხაილოვა დაემყვინდლა ფინალურ ბრძოლებს. დანარჩენები — თამარ სუსუნიაშვილი, ლუკა გიგინეიშვილი, ნინო არღანაშვილი და მანანა მორბედი — ფინალისტები არიან. გიგინეიშვილმა შეინარჩუნა მეორე ადგილი (ლიდერობს უკრაინელი ოქსანა ბრიშუკოვა), სუსუნიაშვილი მეხუთეა (ერთი საფეხურით

დაბლა ჩამოვიდა), არღანაშვილი — კვლავ მეხუთე, ხოლო მორბედი იმ ორ საფეხურს „ააბიჯა“ — XII ადგილზეა. უკეთესად იასპარეზეს ჩვენმა სინქრონულმა წყვილებმა. გიგინეიშვილი და ი. მიხაილოვა არაფის უთმობენ პირველობას. მათ კვალში მიჰყვებიან თ. სუსუნიაშვილი და ნ. არღანაშვილი. ისინი მეორე ადგილზე არიან.

ვათა დუბეტეც წარმატებით აგრძელებენ ბრძოლას: ტურნირის მეორე დღესაც შეინარჩუნა ლიდერობა რ. ხარატიშვილ-გ. გავუას დუეტმა, აქ მეორეა ბელორუსული წყვილი — დენის შიშოვი და დამიტრი ვასილენი, მესამეა ქვლივიძე და რ. პოლოზიანი არიან.

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ თუ ჩვენმა ბატუტისტებმა ასეთი წარმატებით დაასრულეს ტურნირი, საქართველოს ნაკრები საერთო გუნდურ ჩათვლაში, ალბათ, ჩემპიონობას მოიპოვებს. დემერთა ქნას! ჭერაქრობით ყველაფერი ამ სასურველი მიზნის მოახლოებაზე მეტყველებს.

ლევან ჯაბახიშვილი

გუზინ...

საქართველოს ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა ფინალურ შეჯიბრებაში და 881 ქულით სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა. მეორე ადგილზეა უკრაინის ნაკრები, მესამე — ბელორუსიისა. პირად პირველობაში (ინდივიდუალური ხტომები) ჩემპიონი გახდა რ. ხარატიშვილი. მესამე ადგილი დაიკავა ლ. გიგინეიშვილმა. სინქრონულ წყვილებში გაიმარჯვა რ. ხარატიშვილ-გ. გავუას დუეტმა, აქ მესამეა რ. პოლოზიანი-ქ. ქვლივიძის წყვილი. გოგონებში ჩემპიონი გახდა ლ. გიგინეიშვილი. მიხაილოვას დუეტი, თ. სუსუნიაშვილი და ნ. არღანაშვილი მესამეა არიან.

სურათზე: მოხვედრითა საქართველოს სპარტაკიადის ჩემპიონი, საქართველოს ბატუტე მსტომელთა ნაკრები. დგანან: (მარცხნიდან) ლევა გიგინეიშვილი, ირინა მიხაილოვა, მწვრთნელი — ზურ სულაშვილი, ნინო არღანაშვილი, თამარ სუსუნიაშვილი, მანანა მორბედი. სხედან: (მარცხნიდან) — რევიზ ხარატიშვილი, რემიკ პოლოზიანი, გიორგი გავუა, კახაბერ ქვლივიძე. ა. კოქლამაზაშვილის ფოტო.

ამირან ბოტიკაშვილი ჩემპიონია

სიბილი. ეს ცნობა გუშინ, დღის მეორე ნახევარში მივიღეთ „ლელოს“ საკორესპონდენტო პუნქტიდან. დაიწყო ძიუდოსიტა ტურნირი და პირველივე ოქროს მედალი ყველაზე მსუბუქე (60 კგ) წონაში ჩვენმა თანამემამულემ ამირან ბოტიკაშვილმა დაიმსახურა. თბილისელმა ათლეტმა სასტარტო შეხვედრაში წმინდად დაამარცხა (შებოჭვით) „იაპონური წარმომადგენელი“ ბრაზილიელი სიგეტო იამაცაი. მერე კი ნამდვილი იამონელს — ხიტოში ნაგაიუს შეხვდა, რომელმაც წლეულს მსოფლიო ჩემპიონატზე არაკლდე პრესტიჟული საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირი მოიგო. მეოთხე წუთზე იამონელი წმინდად დაამარცხდა.

...ფინალში ამირანის მეტოქე იყო მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზორი, მონგოლი ბატულგა დაშაგომბინი. ისინი პირველად ორი წლის წინ შეხვდნენ ერთმანეთს თბილისში გამართულ სტუდენტთა საერთაშორისო ტურნირზე და მამინაც მონგოლმა მოკიდევინა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს. დაშაგომბინს ბრძოლის ეფექტური (ყოველ შემთხვევაში გარეგნულად) სტილი აქვს: ერთი შეხედვით თითქოს აქტიურობს, მაგრამ, ამავე დროს, მეტოქეს კიდაობის საშუალებას არ აძლევს. გამოცდილ თვალს ეს არ გამოეპარება, აი მაყურებლებზე კი, ვიმეორებთ, გარკვეულ ეფექტს ახდენს. ერთი სიტყვით ამ შეხვედრაში ქუ-

ჩემპიონია

ლა არ გაკეთებულა, თუმცა ტოტიკაშვილმა ორჯერ სცადა მეტოქის მეტოქეა. საბოლოოდ ქართველ ძიუდოსიტს გამარჯვება მიენიჭა მსაჯთა აზრით — 2:1 (ყველას გასაკვირად მონგოლს უპირატესობა მიუკუთვნა იამონელმა მსაჯმა). ამრიგად, ამირან ბოტიკაშვილმა თავის მრავალრიცხოვან ჯილდოებს კეთილი ნების თამაშების ჩემპიონის სახელიც დაამატა. ახლა მას მხოლოდ ერთი უმაღლესი ჯილდო აკლია — ოლიმპიადის ოქროს მედალი.

65 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზორი სერგეი კოსმინინი, რომელმაც პირველივე შეხვედრა წააგო იამონელ ოსუკე იამამოტოსთან და, ფიქტიურად, საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას გამოეთიშა. ამ წონაში ჩემპიონი გახდა სამხრეთკორეელი იო სან კიმი.

ბაქიკარი შედეგები. 60 კგ. 1. ამირან ბოტიკაშვილი (სსრკ) 2. ბატულგა დაშაგომბინი (მონღოლეთი), 3. სიგეტო იამაცაი (ბრაზილია) და რალფ ვილენცი (გფრ). 65 კგ. 1. იო სან კიმი (სამხრეთ კორეა), 2. ჯეიმს პერლი (აშშ), 3. მარკო ანტონიო და კასტა (ბრაზილია) და ოსუკე იამამოტო (იაპონია).

იხ. 31-4 33.

ა. ბოტიკაშვილი.



კიდევ ერთი ჩემპიონი

ზაზაშვიტი თუ ახალგაზრდათა მსოფლიო ჩემპიონატები საქართველოს მსოფლიო შეჯიბრებებია იოლად გასაგები მიზეზის გამო: კახეთის სპორტში საქართველოს თვალნათლივ ჩანს „დიდი სპორტის“ მომავალი.

ახლახან, სტამბულში გამართულ კახეთის თვისუფალი სტილის მოკიდევინა მსოფლიო პირველობაზე 28 ქვეყნის 197 ათლეტი მონაწილეობდა. აქვე უნდა ითქვას, რომ წინა წლებთან შედარებით გაიზარდა როგორც მონაწილეთა, ასევე გუნდების რიცხვი.

საბჭოთა კავშირის ნაკრები ჩვენი რესპუბლიკის ორი წარმომადგენელი გამოდიოდა: 63 კგ წონით კატეგორიაში — გორელი ზაზა ზოზიროვი (მწვრთნელები ნუგზარ სხივარელი და ირბეჯ ჯიოშვილი) და 81 კგ წონაში — სოხუმელი ელდარ კურტანიძე (მწვრთნელი შოთა კიკაბიძე).

მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, ზ. ზოზიროვი უკვე მოიპოვა გარკვეული ავტორიტეტი და მან ამ პირველობაზეც შესანიშნავი შედეგები დატოვა. ზაზამ პირველსავე წრეში წმინდა გამარჯვება მოიპოვა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთან, დანარჩენი შეხვედრებიც საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარა, ხოლო ფინალში ანგარიშით 9:2 დაამარცხა სამხრეთკორეელი პარკ სამ ვული. 18 წლის გორელი ფალავანი მსოფლიო ჩემპიონი გახდა კახეთის შორის იგი გორის ეკონომიკური ინსტიტუტის სტუდენტია.

რაც შეეხება ელდარ კურტანიძეს, მან კარგად დაიწყო შეხვედრები, მაგრამ ერთ-ერთი შეგინება ბულგარულ მოკიდევინთან ქულეებით დათმო. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი სძლია თურქ იბრაიმ ალკანს და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.



ზ. ზოზიროვი.



როსა ცნობილ სპორტსმენს ცხოვრების უზენდინერეს წუთებზე ეკითხებიან, პასუხად ხშირად იმას მოელოან, თუ როდის და სად მოიპოვა მან ყველაზე მთავარი ჯილდო... დახედეთ ამ სურათს, და ვინძლო, ასეთი კითხვა აღარ დაგეზადოთ. ნეფეს, ცხადია, კიდაობის ყველა მოყვარული იცნობთ: მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ძიუდოში, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ქუთაისელი ფალავანი აკაკი კობორაძე ყველაზე საპატიო „კარცლებზე“ დგას მშვენიერი პატარძლის გვერდით. ვერც კინეკლავში ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის პეჭ დავაგოური ინსტიტუტის სტუდენტია. შეიქმნა კიდევ ერთი ქართული ოჯახი!

თბილისი-მეგზოს მსპინკალი

აპრილი მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებების თვეა. თბილისი ექვს ასეთ ტურნირს უმასპინძლებს. ერთ სახეობაში — ბატუტე ხტომაში —

გუშინ დასრულდა ასპარეზობა, 6 აგვისტოს კი თბილისში კახეთის საემისტები შეიკრიბებიან. 13-19 აგვისტოს თბილისის სპორტული ბაზებში კალათბურთელებს და ხელ-

ბურთელებს დაეთმობათ, 16 აგვისტოს წყალბურთელები დაიწყებენ ასპარეზობას, 21 აგვისტოს — ძიუდოსიტები.

საქართველოს ეროვნული მემორიალი

საქართველოს ეროვნული მემორიალი



„სპორტული აპრილის“ თემაზე

დრომ გვიპარნახა, დრო განგვსჯის...

„გნვანე შუქი“ — სპორტულ კოლეჯს და ცალკე-კონსურსის შესახებ

- ქართული ეროვნული სპორტის განსაკუთრებული კერა
- სპორტსმენები კოლეჯის დიპლომით
- ფლოგით „ნაგროვები“ გახირვების დასასრული?
- სპორტი 75 ჰექტარზე
- სახელწოდება 2000 მანეთად

წინასწარ, ამ წერილის დასაწყისშივე გვინდა გითხრა, რომ ჩვენთვის, ცოტა არ იყოს, უჩვეულო ამბავზე მოგვიწვევს საუბარი: ერთმა დიდმა სამეურნეო ორგანიზაციამ გადაწყვიტა თბილისის რესპუბლიკური ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი „ჩაიბაროს“ და იქ პროფესიული სპორტული კოლეჯი და ასეთვე დანიშნულების კლუბი გახსნას.

ჩვენში ახლა კოლეჯისა, და მით უმეტეს, კლუბის გახსნა ალარავის უკვირს, მაგრამ ეს ამბავი, დაგვეთანხმებით, მინც ცოტა უჩვეულო ჩანს. აქამდე მხოლოდ სპორტული სკოლები, სკოლა-ინტერნატები და ოლიმპიური სასწავლებლები გვესმობოდა, ახლა კი უცებ — სპორტული კოლეჯი, ახალი დროების მოტივი იღეს.

„წერილმანებზე“ საუბარს (ცოტა შორიდან დავიწყებთ). სურამის ციხის ამბავი, იქნებ მოგონილი იყოს ყოფილი გლდანის რესპუბლიკური სპორტული სკოლა-ინტერნატის (ამჟამად ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის) მშენებლობისათვის. მართალია, ამჟამად სპორტული ბაზების არც ერთ კედელში არავინ ჩაუტანებიათ, მაგრამ მშენებლობამ მსხვერპლად იმდენი ადამიანის ნერვები შეიწირა, რომ შეეფარათ, რამდენიმე „მაგარ“ ინფარქტს ეყოფო... ახლა ფილიანთობაზე ჩვენში უკვე გაიღდა ფესვი, ბავშვებსაც ეხმარებიან, მაგრამ სპორტული სკოლა-ინტერნატის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ იმ დროების ნიშან-თვისებას ატარებს, როგორცაა, თითქოსდა ყველას დასაცინად, დაიბადა ყბადღებული ლოზუნგი: ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს!

ინტერნატს ზომ ბავშვების სასწავლებელია, თანაც იმ ბავშვებისა, რომლებიც ოჯახს არიან მოწყვეტილი თავიანთი ოცნებების ასასრულებლად. მაგრამ, აკი ვთქვით, ახლაც ჯერ ისეთი დროა, თუ პირადი მატერიალური დანერგება არ არის, ვერც ბავშვებს აუშენებ რამეს. განათლების სამინისტრო, რომელსაც ადრე ეკუთვნოდა გლდანის სკოლა-ინტერნატი, ფულს კი აძლევდა მას, მაგრამ მშენებლობაზე, რომ იტყვიან, ხელი ჰქონდა დახანილი. რა უნდა მოელოქმეთა ინტერნატის ხელმძღვანელობას, როცა მშენებლობის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული პირობებით უკმაყოფილო არც ერთი სამშენებლო ორგანიზაცია არ ჰქონდათ საქმეს ხელს? თუკი ვინმეს როგორღაც დაავალდებინა, ისიც უდმერთოდ აქიანურებდა საქმეს (მაგალითად, ინტერნატის ორი საფეხბურთო მიწის მშენებლობა ამჟამად დაკონსერვებულია), საიდან უნდა მიეცა ინტერნატს ზედმეტი მშენებლობისთვის? ასეთ დროს ახლა თვით „მაღალი ზარიც“ ვერ წყვეტს საქმეს — არ შესრულდა ინტერნატის შესახებ ისეთი დღეგნებებიც კი, რომელთა შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანსაც (ყოფილი) კი ეცნობა. „მესამე წელიწადი, სასწავლო წელი სპორტული ვერ დაგვიწყია“ — თქვენს სასწავლებლის თანამშრომლებმა. შარშან გლდანის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი საქართველოს სპორტსახეობს გადასცეს და მშენებლობაც გაგრძელდა.

ცხადია, მუდამ „მშენებარე“, „აყრილენ-დაყრილენ“ გარემოში ყოფნა სასიკეთოდ ვერ იმოქმედებდა სასწავლო-საწვრთნელ პროცესზე და სპორტულ შედეგებზე. თანამშრომლები თითქმის უიმედოდ ნატრობდნენ ისეთ პირობებს, მოსწავლესაც რომ გაახარებდა, მწვრთნელსაც და მასწავლებელსაც.

...როგორც იგივე თქვა, სწორედ ასეთი პირობების შექმნაზე კარგა ხანია დიკრობდა ამირან მინაშვილი — თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი წევრი. თვითონ სხვაგვანა მუშაობდა, მაგრამ გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის აღზრდილი და სხვებზე ნაყოფად არ იცოდა მისი გასაკვირი. როგორც გვიხსნა, დიდ წვალბებით მიავსო ორგანიზაციას, რომელიც მისი იდენტური ინტერესსა და რომელსაც ამასთან, საშუალებაც აქვს ამ იდეის ხორცშესხმისა.

ამირანს, პირველ რიგში, სურდა ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელში საფეხბურთო კლუბი შეექ-

მნა, როცა ეს აზრი სასწავლებლის დირექტორს ლევან ბოლქვაძეს გაუზიარა, აღმოჩნდა, რომ თვითონ მუდამ სამშენებლო მასალისა და მუშახელის საძიებლად გადაგებულ, ვატანჯულ დირექტორსაც შორის ვამიზნული გეგმები ჰქონდა. საბასუხოდ მან ძველ ნაცნობს შესთავაზა, ბარემ მთელ სასწავლებელს მივხედოთ, მის ბაზაზე შევქმნათ კოლეჯის ტიპის პროფესიული სპორტული სასწავლებელი და შემიღებ უკვე — სპორტული კლუბიო. და ორმა ახალგაზრდამ, ძველმა „ინტერნატელებმა“ ერთად დაიწყეს ზრუნვა ამ მიზნის ხორცილებაზე.

რა სურთ ამირან მინაშვილსა და ლევან ბოლქვაძეს? რა სურს საქართველოს რესპუბლიკური ასოციაცია „კომპლექსის“ ხელმძღვანელობას, რომელსაც დახმარებისთვის მიმართეს ყოფილმა ფეხბურთელმა და ყოფილმა მძღვოსანმა?

მათ უკვე მოფიქრებული და ჩამოყალიბებული აქვთ თავიანთი განზრახვა, რომელსაც ეწოდება: „თბილისის პროფესიული სპორტული კლუბის“ იმედის“ წესდება“. წესდება 5 ნაბეჭდ ფურცელზეა წარმოდგენილი, ამიტომ მის ყველა მუხლს აქ ვერ მოვიყვანოთ, ზოგადად კი გეტყვით: იგი გულსიმშობს ინტერნატის მთელი ფართობის (75 ჰა) მაქსიმალურად გამოყენებას, სპორტული ბაზების წესრიგში მოყვანას, სასწავლო-საწვრთნო პროცესების გაუმჯობესებას, სპორტული კოლეჯის გახსნას, რომელიც მოამზადებს მსაკებსა და მწვრთნელებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ამ კოლეჯის გამო, ნათელია, იზრდება სწავლების ვადა (ორი წლით), ამასთან, მისი დამთავრების შემდეგ სპორტსმენსა თუ ახალგაზრდა სპეციალისტს „იმედის“ ხელმძღვანელობა პროფესიული კონტრაქტის დადებაში დაეხმარება და ამაში გარკვეულ სარგებელსაც ნახავს...

ჩვენი აზრით, პირველი, რაზეც კაცი დაფიქრდება ამ წესდების გაცნობის შემდეგ, ის უნდა იყოს, თუ კომერციული თვალსაზრისით რა ხეირს ნახავს თვითონ „კომპლექსი“. თუმცა, ჯერ კვბს თვითონ „კომპლექსი“ წარმოადგინოთ: ეს არის მსხვილი სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დარგის 40-მდე სახელმწიფო საწარმოსა და კოოპერატივს. მისში შედიან სამშენებლო თუ სოფლის მეურნეობის, პოლიგრაფიული თუ ტურისტული ორგანიზაციები, თვით კომპლექსისა და პროფტექნიკური სასწავლებელიც კი. მას აქვს საკუთარი კომერციული ბანკი და ყველა სხვა აუცილებელი „ატრიბუტი“, რაც სოლიდურ ფირმას უნდა ჰქონდეს. სწორედ ასეთი ძლიერი

ფირმის პრეზიდენტმა, ბატონმა ალექსანდრე ივანიშვილმა აღუთქვა ხრული მხარდაჭერა ორ ენთუსიასტს და უდიდეს დახმარებასაც შეჰპირდა, რომელთა ჩამოთვლა აქ შორის წაგვიყვანდა.

შეიძლება ვცდებით, მაგრამ ეს მზარდი ასოციაცია, არა გვეგონია, რამე დიდ გამოჩენას ელოდეს სასწავლებლისაგან. ჩვენი აზრით, ეს არ არის ის სფერო, სადაც დიდ მოგებას მიიღებ. თუმცა „კომპლექსი“ ახლავს აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში არც კომერციული იტყვის უარს: ინტერნატში იმუშავენ ფაქსიანი გამაჯანსაღებელი ჯგუფები, მცირე ობიექტები სპორტული ნაწარმის გამოსაშვებად... მაგრამ ეს „დიდი ბიზნესი“ არ უნდა იყოს (საერთოდ, უშუალოდ სპორტით, ზოგიერთი კერძო ბირის გარდა, საქართველოში არავინ გამოიღრებულა). თვითონ პროფესიული სპორტული კლუბისა და კოლეჯის ნაყოფიერად მუშაობას კი, უმკველია, მუდმივად დასჭირდება დიდი ძალი თანხები.

მაშ, რატომ ამირებს „კომპლექსი“ მრავალი ათასი მანეთის დაბანდებას? ამირან მინაშვილსაც და გაერთიანების დირექტორსაც, ბატონმა თეიმურაზ ჩხიკვაძემაც სასწავლებლის თანამშრომლებთან შეხვედრისას განაცხადეს, რომ სურთ შექმნან ქართული ეროვნული სპორტის განსაკუთრებული კერა, რომელსაც, ამავე დროს, მტკიცე ფინანსური საფუძველი ექნება.

დაახლოებით ასეთი წინადადებით მიმართეს მათ საქართველოს სპორტსახეობის ხელმძღვანელობას და სხვადასხვა სასწავლებლისა და „კომპლექსის“ ძალიან შექმნილიყო სპორტული კოლეჯი.

ჩვენ უკვე მივადექით ამ საქმის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს... როცა სპორტსახეობმა სასწავლებელი ჩაიბარა განათლების სამინისტროსგან, იგი, ცხადია, უკმაყოფილო იყო იქ შექმნილი მდგომარეობით და ჰქონდა თავისი გეგმები ამ სასწავლებლის მომავალთან დაკავშირებით. უნდა ითქვას, რომ სპორტსახეობის სასწავლებლის სახით მძიმე შემკიდრება ეტყობა: აკი ვთქვით, იქ ჯერ კიდევ ზღვა საქმეა გასაკეთებელი. ამას ისიც დაერთო, რომ სპორტსახეობის ფინანსური შესაძლებლობა, რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის გამო, თანდათან მცირდება. როგორც მისმა კომპეტენტურმა წარმომადგენელმა გულწრფელად განაცხადა, საუკეთესო, რომ ორ-სამ წელიწადზე ადრე სასწავლებელს რამე ეშველოს.

ასეთ პირობებში „კომპლექსის“ წინადადება მიმზიდველი ჩანს. მაგრამ, ცხადია, სპორტსახეობს ამასე საკუთარი აზრი ჰქონდა. ჩვენ კი კონკრეტულად იმაზე ვისაუბრებთ, რაც შეეძლება.

ამ საქმეში დამატკობელ გარემოებად სპორტსახეობის მუშაობა სასწავლებელთან ერთობლივი კოლეჯისა... შექმნას ითხოვდა ორგანიზაცია, რომელსაც არ აქვს სათანადო მუშაობის გამოცდილება. გარდა ამისა, თუკი, ღმერთმა დაიფაროს და, „კომპლექსი“ გაკოტრდა, მერე ვიღას მოეკითხება სასწავლებლის ზედით?..

მოკამათებმა თავ-თავიანთი არგუმენტები ერთმანეთსა და სასწავლებლის პერსონალს წარუდგინეს ამ შეკრებას ყველა თანამშრომელი

ვერ დავსწრო, მაგრამ, მაკვირებს ცხადდება, იქ იყო ძირითადი ბიზნესი. სამართლიანობა მითითდა ითქვას. რამდენიმე წინაშეც ყველამ ერთხელ დასწავლა მხარამირან მინაშვილის, ლევან ბოლქვაძისა და თეიმურაზ ჩხიკვაძის წინადადებას. ამაყარა იყო, რა მდგომარეობაზე მიიყვანა ეს ხალხი წლებით „ნაგროვებმა“ გაპირებამ რომელთაგან ზოგი უკვე 20-25 წელია მუშაობს იქ. მათ სხვა პრობლემებზეც ილაპარაკეს. სიტყვით გამოსულებმა საბუთად ისიც მოიყვანეს, რომ თანდათან ძნელდება სპორტული სკოლების შენახვა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა კუმბერ თანაშვილმა მაგალითად მოიყვანა ცნობილი ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა, რომელსაც ასერიანი ბაზა არასდროს ჰქონია და ახლა, დაჭრბრავად, უშევრთხელედ ბოდაც დარჩა.

კოლეჯის შექმნის თაოსნებმა განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი იმას, რომ, თუკი მათი იდეა მართლა განხორციელდება, გაუმჯობესდება თანამშრომელთა შრომის პირობები და, რაც მთავარია, ყველა ასპექტში მეტი ხელშეწყობა ექნებათ მოწყვეტის. სასწავლო და საწვრთნელ პროცესს კი აუცილებლად საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროსთან და სპორტსახეობის მჭიდრო კავშირში, მათთან ურთიერთშეთანხმებით წარმართავთ... ამჟამად სასწავლებლის სახეცვლილების საკითხი განიხილვის პროცესშია. კრების მონაწილეებმა ვადალ ერთი კვირა დათქვეს...

პირები რომისში

საქართველოს სპორტსახეობა, ასოციაცია „კომპლექსი“ და სასწავლებლის ხელმძღვანელობამ ოპერატიულად, მაგრამ სწრაფად დაგულად მოილაპარაკეს, რომლის შედეგაც აქვე გაცნობთ: სასწავლებელს შეეძება იურიდიული პირის უფლება, ე. ი. მან კანონიერად გააფორმა თავისი შეთანხმება „კომპლექსთან“ ყველა შემთხვევითი გეგმის ასრულების მიზნით. მოკლედ, კოლეჯსაც და პროფესიულ საფეხბურთო კლუბსაც „მწვანე შუქი“ მიეცა. თავის მხრივ, სპორტსახეობა იტყვევს უფლებას მუდმივად დაეხმაროს სასწავლებელს სასწავლო-საწვრთნო პროცესების წარმართვაში (ახალი ტიპის სასწავლებლის ფუნქციონირებისათვის საჭირო თანხის 80 პროცენტს გაიღებს სპორტსახეობა, დანარჩენი — „კომპლექსი“).

საქმის მთავება დრმა რწმუნით, ამ ხელშეკრულებით დასახმამი მიეცა ქართული ეროვნული სპორტის ახალი, დღემდე უჩვეულო კერის დაარსებას. ჩვენც იმედნ გამოვთქვამთ, რომ ასეც არის.

P. S. აქვე გაცნობებთ, რომ „კომპლექსი“ ატარებს კონკურსის ახალი პროფესიული საფეხბურთო კლუბის საუკეთესო სახელისთვის. კონკურსში გამარჯვებული სოლიდურ თანხას (2000 მან) მიიღებს. კონკურსი დაიწყება ამ განცხადების გამოქვეყნებისთანავე და გაგრძელდება ერთ თვეს. პირობებისათვის მიმართეთ ასოციაცია „კომპლექსი“ (თბილისის სახელმწიფო ინოვაციისა, ან სასწავლებლის დირექციის მისამართით: თიანეთის გზატკეცილი, 25. ტელ: 67-18-34.

ენვიმთ „ზესოს“

შანის მთა, მარჯაფარა, მარჯანი-შვილი, ორბელიანი, ნინოშვილი, თეთრი და შავი, უცნობი.. ამ მწვერვალს შორისაა მოქცეული საერთაშორისო ალპინისტური ბანაკი „ზესოს“, ვინც ერთხელ მაინც მოხვედრილა ბანაკში, იგი უცილობლად შეიგრძნობდა ამ დიდებული ადგილის სილამაზეს.

„ზესოსში“ „მოქვარი“ მასპინძელია მისი დირექტორი, სპორტის ოსტატი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ჯოკია გუგავა.

ბატონი ჯოკია ლენტეხის რაიონში დაიბადა, აქ მიიღო პირველი „ნათლობა“ მთასვლელობაში და აქვე დარჩა, არ უღალატა ბავშვობის-დროინდელ გატაცებას.

მთებზე საუბრისას ჯოკია ბიძია (ასე მომართავენ ბანაკის სტუმრები), ამბობს: „ბედნიერი კაცი ვარ, რადგან ბავშვობის სურვილი შემი-

რულდა და მხოლოდ სურვილად არ დამირჩა“. ჯოკია ბიძიას კანინტში შესვლისთანავე თვალში გეცემათ ცნობილი ქართველი მთასვლელების ფიტოსტენდი.

საუბარში ჯოკია ბიძიამ გვისაყვედურა: „რადგან მთაში ვართ, სულ დაგვივიწყეთ, აღარავის გახსოვართ, არავინ გვატარონობთ, ასე არ შეიძლება, ზოგჯერ ჩვენც გავვიხსენეთ, გვესტუმრეთ, თუ შესაფერის მასპინძლობას ჩვენ ვერ გავიწყეთ, სამაგიეროდ, მწვერვალზე გიმინსპინძლებენ“.

მწვერვალსაც უნდა სტუმარი, მთასაც სჭირდება ხიყვარული, სიტბო, მოფერება, თბილი სიტყვა. ნუ დაკარგავთ ამ ჭადონსურ სილამაზის ნახვის შესაძლებლობას, ეწვიეთ ბანაკ „ზესოს“.



არა მხოლოდ შეხვედრით...

გლდანის რაიონის ალმასკომის დაპირებით, ამა წლის სექტემბრისთვის მე-3 მიკრორაიონში მწყობრში ჩაღებდა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბის შენობა, რომელიც ხელს შეუწყობს სპორტის მასობრიობის ზრდას. თუმცა რაიონში მანამდეც იმართებოდა და იმართება სხვადასხვა შეჯიბრებები. მაგალითად, ახლახან დამთავრდა საბინაოსაექსპლუატაციო უბნების პირველობა მინი ფეხბურთში, სადაც 14 გუნდი ასპარეზობდა, შეხვედრებს კი „სინათლის“ სტადიონი მასპინძლობდა. გამარჯვება გლდანის III მიკრორაიონის №12 სს უბნის გუნდს დარჩა.

გლდანის III მიკრორაიონის სპორტული ცხოვრება მხოლოდ ფეხბურთით არ შემოიფარგლება. იმართება ასპარეზობები ჯადრაკში, შაშხში, ქართულ კიდაობაში. ახლახან ტურისტული ლაშქრობა მოწყვეს ზემო სვანეთში.



საქართველოს ეროვნული ჩაბარებული ფუნდის მისია

საპროტეკტორატი, სოხუმი, "სხუმი" მისია

საპროტეკტორატი (სოხუმი) - "სხუმი" მისია

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 3 ავტოსადგომი.

"სხუმი": ურთულადი, ჩიხრაძე, ფარულაძე, სიჭინავა, ჭეცხეიძე, გაბუნიაძე (გეგეჭკორი), ჭიჭინაძე (პაპაჩიქოძე), პაპაძე, გორგოლაძე, ვაბუციაძე, კურგულიანი.

"სხუმი-1990": დოლოძე, ელიაშვილი, ხაშვილი, ჩადუნელი, ძეგლაძე, ტარტარაშვილი, შალაშვილი, ურდიაშვილი, ლ. ყიფიანი, ქობულაძე, მინაშვილი (წიგნიძე).

მსახური - ჯ. წერეთელი (რუსეთი), ა. შილაძე, გ. ზერიაშვილი (თბილისი).

გაფორების მხარე. თ. სიჭინავა.



სხუმი

08 ფეხბურთელებს შორის, რომლებმაც განვლილ მსოფლიო ჩემპიონატზე გამოიჩინეს თავი, ერთი იტალიელი რიბერტი ბაქოცაა.

გთავაზობთ რამდენიმე ნაწილებს რ. ბაქოს ერთ-ერთი უკანასკნელი ინტერვიუდან:

რობერტო, თქვენ ვიცინახართ მეტად ნიჭიერ თავდასხმეულ იტალიელთა, "ფორენტინის" კი...

გასაკვირველი ამას არაფერია. მე არა ვარ ისეთი აშკარად გამოხატული თავდასხმელი, როგორც, მაგალითად, ვიალია, ან წინათ რივა იყო. მე უფრო მეტად გეგმავ მინდვრის სიღრმეიდან თავაში, რათა უკეთ შევამჩნიო მეტოქის სუსტი ადგილები.

ბევრ მიმომხილველს მიაჩნია, რომ თქვენ კარგად ვერ შეწყობთ სკოლის (ორივე ფეხბურთელი ახლა "იუვენტუსში" გამოდის).

ეს მხოლოდ პირობებია. დასკვნა მაშინ უნდა გამოვიტანოთ, როცა სათანადო პრაქტიკა გვექნება. მე სულ სხვა რამეს ვფიქრობ: სკოლაში და მე კარგად გავუგებთ ერთმანეთს.

თქვენს ხაფაზურად "იუვენტუსში" უზარმაზარი თანხა გადაიხდა. ხომ არ გირთულებთ საქმის მსოფლიოში ყველაზე უფრო ძვირად ღირებული ფეხბურთელის წოდება?

რა თქმა უნდა, მირთულებს. ახლა ჩემთვის ძალზე ძნელი დრო დადგა, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, რათა გავაძარტო იმედები.

რამაშადა გივი თორაძე.

ნარსულის მხარე ბაკვეთილები

ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატებში ქართველების მონაწილეობის კოეფიციენტი რომ გადაეხედო, გვიწოდებდა ყველაზე "დაჩაგრულ" კაცად მეჩვენა, რადგან მექსიკაში მან ერთადერთ მატჩში მიიღო მონაწილეობა. თუმცა, თვითონ ბატონი გვი სხვაგვარად ფიქრობს:

ვერ ვიტყვი, რომ დაჩაგრული კაცი ვარ, რადგან 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველები საქმიანად ვიყავით ნაკრებში, ასე დაიწყო პასუხი, როცა ჩემი აზრი გავუზიარე - ქართველ ფეხბურთელს ყოველთვის ჰქონდა საკმარისი ვაქაცობა, პრინციპულად, რათა ნაკრებში ადგილი დაემკვიდრებინა. ყოველი ქართველი განსხვავებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ავტორიტეტით სარგებლობდა გუნდში და მათ სიტყვას სხვა ძალა ჰქონდა. კერძოდ, რაც შეეხება ჩემს მონაწილეობას მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის მხოლოდ ერთ მატჩში, მთავარი მიზეზი ტრავმა გახლდათ. მართალია, პირველი მატჩის შემდეგ ყოველ წუთს ველოდებოდი სასტარტო შემადგენლობაში დაბრუნებას, მაგრამ ამოდ. ამიტომ, რასაკვირველია, მქონდა უარყოფითი ემოციებიც, დაჩაგრული კი ნამდვილად არ ვყოფილვარ.

დღევანდელ ნაკრებზე რას იტყვით, რას შეცვლით მის სტრუქტურაში? - თუ რომელიმე ფეხბურთელი ნაკრების გაძლიერებას გულისხმობს, მიხილიჩენილი კი ვერ შეცვლიდა საბჭოთა გუნდის თავისი სტილი. ან რა სტილზეა ლაპარაკი, ყველაფერზე მათი თავიანთი ისრაელთან, ირანთან... სრული ქაოსი. მასხრდება მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის წინა პერიოდი, 1969 წელი, როცა საბჭოთა ნაკრები ვაგინდა გათამაშების ფინალურ ეტაპზე. თავაშეგებში საკმაოდ ნათლად გამოიყვანა გუნდის ბირთვი. მაგრამ უკვე მსოფლიო ჩემპიონატზე აღარ იყავით, ეს ბირთვი მაქსიმალურად გამოიყენებინათ. 22 კაციდან, ფაქტობრივად, სამმა ან ოთხმა თუ იცოდა, რომ ძირითად შემადგენლობაში იქნებოდა. ეს კი საკუთარი ძალების რწმენას აკარგებინებდა ფეხბურთელს. იგივე გამოხდებოდა ამჟერადაც. გუნდი ოთხი წლის განმავლობაში ემზადებოდა მსოფლიო ჩემპიონატისთვის და თავისი წინ არაფერი იცოდა სასტარტო შემადგენლობაში.



ურთველებთან თავაში გაიხიეთ - ის ხაზზე გადახული ბურთი რომ არა, გქონდათ გამარჯვების შანსი?

ეს მატჩი ჩემს მესხიერებაში საკმაოდ ბევრ გემგმობას უკავშირდება. ჩემი მოწინააღმდეგე დასახელება უბრალო კენსისურამ, ჩემი მეტოქე იტალია უნდა ყოფილიყო, ან ურუგვაი. საბჭოთა ნაკრების მწვერთვებზე პარკუიანი წყაყყანის კენსის ამოსაღებად, როგორც ყველაზე იბოლიანი, და ბაზზე ალტაცებული დაბრუნდნენ, თითქოს ამ კენსისურით ვადაწყდა ჩემი გამარჯვება და შემდეგ ეტაპზე გასულა. თუმცა, პირადად მე ვფიქრობდი, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე არ შეიძლებოდა სუსტი გუნდი მოხვედრილიყო. წინასწარმა...

დარბეინებამ თავისებური დარი დაამჩნია ჩვენს თავაშ. არავინ უარყოფს, რომ სამხრეთამერიკელებმა წესის დარღვევით გაიტაცეს გოლი, მაგრამ მიმაჩნია, რომ საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობა საკმაოდ შეშინებული გამოიყურებოდა. გუნდმაც სულ სხვა სისტემით ითამაშა, დამატებითი დროსთვის ქართველები შეცვალეს, არც შეტევის გაძლიერებაზე იზარუნეს, ეს კი იმ დროს, როცა ურუგვაელებმა ნახევარმცველების ნაცვლად ფორვარდები გამოიყვანეს და ლირსეულად გაიმარჯვეს კიდევ.

დღევანდელ ნაკრებზე რას იტყვით, რას შეცვლით მის სტრუქტურაში?

თუ რომელიმე ფეხბურთელი ნაკრების გაძლიერებას გულისხმობს, მიხილიჩენილი კი ვერ შეცვლიდა საბჭოთა გუნდის თავისი სტილი. ან რა სტილზეა ლაპარაკი, ყველაფერზე მათი თავიანთი ისრაელთან, ირანთან... სრული ქაოსი. მასხრდება მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის წინა პერიოდი, 1969 წელი, როცა საბჭოთა ნაკრები ვაგინდა გათამაშების ფინალურ ეტაპზე. თავაშეგებში საკმაოდ ნათლად გამოიყვანა გუნდის ბირთვი. მაგრამ უკვე მსოფლიო ჩემპიონატზე აღარ იყავით, ეს ბირთვი მაქსიმალურად გამოიყენებინათ. 22 კაციდან, ფაქტობრივად, სამმა ან ოთხმა თუ იცოდა, რომ ძირითად შემადგენლობაში იქნებოდა. ეს კი საკუთარი ძალების რწმენას აკარგებინებდა ფეხბურთელს. იგივე გამოხდებოდა ამჟერადაც. გუნდი ოთხი წლის განმავლობაში ემზადებოდა მსოფლიო ჩემპიონატისთვის და თავისი წინ არაფერი იცოდა სასტარტო შემადგენლობაში.

ნაკრებში საკმაო ხანს იყავით მიწვეული...

მართალია. ნაკრების შემადგენლობაში წლებით მიხედვით თავაში. აქ ისეთი ექსტრემალის ფეხბურთელები გამოიღონენ, როგორებიც სლავა მეტრეველი, მურთაზ ხურცილავა, მიხეილ მესხი, კახი ასათიანი იყვნენ. ამიტომ თავს არ ვზოგავდი, რათა ნაკრებში ადგილი არ დამეკარგა. ისე კი მჭამს, რომ აუცილებლად შენი ზალხის სამსახურში უნდა იყო, მისთვის უნდა ითამაშო, მან უნდა დაგინახოს და შეგაფასოს.

ეს ყველაფერი თქვენგან რომ



მესხის, სახიამოვნო, მაგრამ, რატომ წახვედით მოსკოვის "ლოკომოტივიში"?

ცოტა უცნაური კაცი ვარ. ცვლილებამ ძალიან დამომოხი ვიყო, მაგრამ შემდეგ კატეგორიულად გადაწყვეტილების მიღებაც ვიცი. მაშინდელი ჩემი ნაბიჯი გუნდში არსებულმა არაჩანსაღმა სიტუაციამ განაპირობა, რომელიც ძალიან ბევრ ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთან იყო დაკავშირებული. ამან თავისებური მორალური დეგრესია გამოიწვია ჩემში და გადაწყვეტიტე გუნდიდან წასვლა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ემოციებს აყვავი, დამშვიდდებოდა და რაიმეს შეცვლიდა. მაშინ უფროსი მწვრთნელი იაკუშინი იყო. ჰოდა, მან მომთხოვა შემესრულებინა ჩემი მოვლენობა. ორი კვირა ასე ფსიქოლოგიურად დამაბულ ატმოსფეროში ვვარჯიშობდი. შუა სეზონის იყო და ვიცოდი, წლის ბოლომდე ვერსად ვითამაშებდი. მაშინ ჯერ მხოლოდ 27 წლისა ვიყავი და 100 გოლის გატანას ბევრი არაფერი მაკლდა. ვავიტანე თუ არა ეს "საიუბილეო" ბურთი, ჩემმა თავაში მოსკოვის "ლოკომოტივიში" ყოველნაირი ინტერესი დაკარგა. იმავე სეზონში დავანებე თავაშ თავი. და, თუმცა იქ დარჩენისათვის ყოველგვარი პირობები შემომთავაზეს, მე მაინც სამშობლოში დავბრუნდი.

ყველაზე ცუდად რა გახსენდებათ თქვენი წარსულიდან?

ახალი კონტრაქტები: 17 პილიონი დოლარი

29 ივლისს, "პოკენპაიშე", გაიმართა მსოფლიოს 41-ე ჩემპიონატის მე-9 ეტაპი ფორმალთა 14 კლასის ავტომობილებში რბოლაში. გათამაშდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 38-ე "გერან პრი" (1953-1990 წწ) და დაიწყო ასპარეზობის მეორე ნახევარი.

საკვალიფიკაციო რბოლებში პირველობა კვლავ "მაკლარენის" პილოტებმა დაიბრუნეს. აირტონ სენამ მოიგო 47-ე საწვრთნელი შეჯიბრება, გერპარდ ბერგერი მეორე იყო, ალენ პროსტი კი მესამე.

პირველი 16 წრის განმავლობაში ლიდერობდა სენა. შემდეგ ბრაზილიელი პილოტი ბოქსისკენ გაემართა საბურავების შესაცვლელად. დაწინაურდა ალესანდრო ნანინი. 7 წრის შემდეგ სენა კვლავ ჩაერთო ასპარეზობაში. იგი წამოიწვია ალესანდრო ნანინის, მაგრამ არც უცდია გასწვრება. ასე იარეს მათ 33 წრე, შემდეგ კი აირტონ სენამ ბრწყინვალე მანევრით ჩამოიტოვა იტალიელი მეტოქე და წინ გაიჭრა. მანვე პირველობა გადაკეთა ფინიშის ხაზი და ტრასის ახალი რეკორდი დამყარა.

აირტონ სენამ 24-ე გამარჯვება მოიპოვა და მოგებული ეტაპების მიხედვით გაუთანაბრდა ლეგენდარულ ხუან მანუელ ფანხოსს.

ბრაზილიელმა პილოტმა 305,865

კმ სივრცის მანძილი (45 წრე) დაფარა 1 საათში, 20 წუთსა და 47,164 წამში.

ყველაზე სწრაფად ერთი წრე გაიარა ტიერი ბუტსანმა (1 წუთი, 45,602 წამი, საშუალო სიჩქარე საათში 231,882 კმ).

მბაისი საბოლოო შედეგი:

- 1. აირტონ სენა (ბრაზილია, "მაკლარენ-პონდა") - 9; 2. ალესანდრო ნანინი (იტალია, "ბენეტონ-ფორდი") - 6; 3. გერპარდ ბერგერი (ავსტრია, "მაკლარენ-პონდა") - 4; 4. ალენ პროსტი (საფრანგეთი, "ფერარი") - 3; 5. რიკარდო პატრეზე (იტალია, "უილიამს-რე-



ნო") - 2; 6. ივან კაპელი (იტალია, "ლეიტონ ჰაუს (მარჩ) ჯაი") - 1 ქულა.

მდგომარეობა 9 ეტაპის შემდეგ: 1. აირტონ სენა - 48; 2. ალენ პროსტი - 44; 3. გერპარდ ბერგერი - 29; 4. ნელსონ პიკე - 18; 5. ტიერი ბუტსანი - 17; 6-8. ნაიჯელ მენსელი, კან ალესი, ალესანდრო ნანინი - 13-13; 9. რიკარდო პატრეზე - 12; 10. ივან კაპელი - 7; 11. გრიკ ბერნარი - 4; 12-13. სტეფანო მოდენე, ალექს კაფი -

2-2; 14-16. დერეკ უორვიცი, სატორუ ნაკაპიმა, აუგუსტი სუძუკი - თითო ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობა

- 1. "მაკლარენ-პონდა" - 77; 2. "ფერარი" - 57; 3. "ბენეტონ-ფორდი" - 31; 4. "უილიამს-რენო" - 29; 5. "ტაირელ-ფორდი" - 14; 6. "ლეიტონ ჰაუს (მარჩ) ჯაი" - 7; 7. "ლოლა-ლამბორინი" - 5; 8-9. "ბრემბე-ჯაი" - "ეროუზ-ფორდი" - 2-2; 10. "ლოტუს-ლამბორინი" - 1 ქულა.

კვლავ არ გაუმართლა ნაიჯელ მენსელს. ერთ-ერთი მოსახვევის "გავლისას მან ვერ დაიმორჩილა საჭე და "ფერარი" ტრასის მიღმა აღმოჩნდა. ინვალისებმა პილოტმა რბოლა ველარ განაგრძო.

ცნობილი ვახდა, რომ აირტონ სენამ ახალი კონტრაქტი გააფორმა "მაკლარენთან" 17 მილიონ დოლარად. ახლა იგი ყველაზე ძვირად ღირებული პილოტია.

მას შემდეგ, რაც ნაიჯელ მენსელმა განაცხადა, რომ წლებიწინდელი სეზონის საბოლოო მისთვის, "ფერარის" ხელმძღვანელობა ცდილობს მოუნახოს მას ლირსეული შემცვლელი. ჯერჯერობით, მათი არჩევანი შეჩერებულია ორ კანდიდატზე. ესენი არიან რიკარდო პატრეზე და ივან კაპელი.

ჩემპიონატის მეათე ეტაპი გაიმართება 12 აგვისტოს, უნგრეთში, "ჰუნგარორინგზე". ავტოსპორტის მოყვარულები შეძლებენ თვალყურს ადევნონ ასპარეზობას ცენტრალური ტელევიზიის მეორე პროგრამით 22 საათსა და 50 წუთზე.

გამორჩევა ძნელია, თუმცა, როდესაც განვილო გზას გადავხედო და ხოლმე, გვიჩქრებ, რომელიმე მეორე სიცოცხლეს ჰომოქონოს მასაც ასე გაიხარავდი. ისე, ტივილით ვუსწებებ ერთ-ერთ მატჩს ესპანეთის რეკორდს. ეს მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ იყო. ესპანეთის ძლიერი გუნდი "პუბლიკა". ჩვენმა მთავარმა მწვრთნელმა თავაშის წინ დარბევა ასე დაიწყო: "ისინი სამხრეთამერიკული ფეხბურთის თავაშებენ, მათ შეუძლიათ თავაშით დაგვჯანსაღონ, ამიტომ ძალა უნდა დავუპირისპიროთ". მას, დაივწყდა, რომ ქართველებიც სამხრეთამერიკული ფეხბურთის გამგებნივდით. შემდეგ საბოს მისცა ასეთი დავალება: ერთ-ერთი წამყვანი ნახევარმცველი - პირი, თავაშისიანი ხელით უნდა გამოვიდეს და, თუ ვერაფერი მოუხერხებ, ჩამოქრებ თავაშით. ეს შეხვედრა ანგარიშით 2:1 მოვიგეთ, მაგრამ ასე მწარედ არც ერთი გამარჯვება არ მახსოვს.

მსოფლიოს საფეხბურთო საყვარო გაცემულია იმ ფაქტით, რომ საბჭოთა ფეხბურთელებს იტალიაში გამოხვედის შემდეგ ვახამარკლოზე უარი უთხრეს. თქვენს დროს თუ ხდება მსგავსი რამ?

ჩემთვის ეს ფაქტი მოულოდნელი არ ყოფილა. საბჭოთა ნაკრებს ამის გამოცდილება აქვს. კვლავ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე ვავისხენებ. აქ სოციალისტური ქვეყნიდან მონაწილეობდა ბულგარეთი, რომელმაც ქულა აიღო ქვეყნულში. ჩვენმა გუნდმა ხუთი ქულის მოგროვება შეძლო. ბულგარელებს პრემია 1000-1000 დოლარი მისცეს, ჩვენ კი 500-500 უნდა აგველო. მაგრამ... მოგვეცეს მხოლოდ 150-150 დოლარიანი საჩუქრებისთვის. მაშინ ჩვენმა კაპიტანმა ალბერტ შესტერნიოვმა "კომსომოსკაია პრავდაში" დაწერა ამის თაობაზე, მაგრამ წერილს არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია.

ბოლო კითხვა და მინდა გულახდილად მიამახუხოთ: "ჩაწყო-ბილი" თავაშში თუ მივიღიეთ მოწაწილება?

ჩემს დროს პირველად ეს ცნება სოლოვიოვმა შემოიტანა. მითამაშა, რა თქმა უნდა. უფრო ნზირად ეს "ლინამოს" მეტოქის მიწოდებე მატჩებში ხდებოდა, როცა მასპინძლები გვთხოვდნენ ფრეს. მაგრამ მოდი, ამაზე მეტს ნულარ ვილაპარაკებთ. მინდა ეს წარსულის მწარე გაცვეთილად დარჩეს და მისი სიხვე ქართულ ეროვნულ ჩემპიონატს არ შეეხოს.

ესაუბრა ინგა ჩანგაშვილი.

ინფორმაცია

იპაონის ოლიმპიურ კომიტეტს ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ეს განსაზღვრე 61 წლის ხორონოსი ფურუხასი, იპაონის ცურვის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, წარსულში საკმაოდ ცნობილი სპორტსმენი, რომელსაც რამდენიმე მსოფლიო რეკორდი აქვს დამყარებული თავისუფალი სტილით ცურვაში.

ფურუხასიმ ამ პოსტზე შეცვალა არანაკლებ ცნობილი მილიარდერი იოსიკი ცუტუმი. ეს უკანასკნელი პრეზიდენტობიდან გადადგა მიმდინარე წლის მარტში, აზიის ზამთრის თამაშების დამთავრების შემდეგ.

ჩემი მიზანია, - თქვა ახალმა პრეზიდენტმა, - ხელი შევწყვიტო იპაონის სპორტსმენთა უკეთ გამოხვედის ოლიმპიადებში. ამავე დროს ყოველგვარ უნდა ვეცადო, რათა უფრო პოპულარული გავხადო ოლიმპიური იდეები ამომავალი მზის ქვეყანაში.

როგორც დასა სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, შარშან ავსტრიის მთებში დაიღუპა 260 კაცი, 2,335-მა კი მძიმე ტრავმა მიიღო. 1985 წლის შემდეგ მთაში დაშვებულია რაოდენობა 50 პროცენტით გაიზარდა. ეს ცნობები კორესპონდენტმა მიიღო ავსტრიის ალპინიზმის ფედერაციაში.

შარშან 111 ადამიანი დაიღუპა ტურისტულ ლაშქრობებში, 30 - კლდეზე ცოცხალი და 70 - მიიღნა თხილამურებით დაშვების დროს. განსაკუთრებულ შემფთობას იწყებს უბედური შემთხვევები (ლპებში) მოყვარულ ტელეკაბლანერისტთა შორის. აქ 14 კაცი დაღუპული და 102 - სერიოზულად დაშავებული.

დავით ჩუბინიძე



კათილი ნების თამაშები


თამაშები ფინიშის სწორზე

სიბაძლი. კეთილი ნების თამაშებზე გამოვლინდა კიდევ ერთი ჩემპიონი წყალბურთში. ოქროს მედალი მეტრიან ტრამპლინზე მოსკოველმა სწორვე ლომანოვსკიმ დაისაკუთრა, რომელმაც საკმაოდ დიდი უპირატესობით მოუგო მთავარ კონკურენტებს — ჩინელ ტან ლიანდეს (II ადგილი) და ამერიკელ მარკ ბრედშოუს (III ადგილი).

ამერიკელ წყალბურთში მსტომელთა შედეგებზე გარკვეული გავლენა

ქონია იმან, რომ სიეტლში არ ასპარეზობს მსოფლიოში აღიარებული ლიდერი გრეგ ლუგანსი. მის გარეშე მასპინძლების გუნდი მთლიანად ახალგაზრდა სპორტსმენებით დაკომპლექტებული აღმოჩნდა. ლუგანსის მიაჩნია, რომ დებიუტანტებმა დამოუკიდებლად ბრძოლა უნდა ისწავლონ. ამ მხრივ, კეთილი ნების თამაშები მათთვის ლიდერული სკოლაა.

ქართველი სპორტის მოყვარულები წყალბურთში მსტომელთა ასპარეზობას



თამაშების მთავარი სარბილი



არ უხვდეთ, არ მოტყუდეთ!

ალბათ ყველას ახსოვს კანადელი სპორტერის ბენ ჯონსონის ბრწყინვალე სტარტი 100 მეტრზე რბენაში სეულის ოლიმპიურ თამაშებში და მისი დრამატული ფინალი: დოპინგის მიღებისათვის სპორტსმენს ყველა ჯილდო ჩამოერთვა და დისკვალიფიცირებულია 2 წლით. ამერიკელ მეცნიერს დევიდ ბლექს, რომელმაც მთელი ცხოვრება სხვადასხვა სტიმულატორების შესწავლას მიუძღვნა და ამ დარგში ერთ-ერთ მსხვილ სპეციალისტად ითვლება, მიაჩნია, რომ დღეს, სამწუხაროდ, ძნელია წარმოიდგინოთ დიდი შეჯიბრება, რომელშიც სპორტსმენები სტიმულატორებს არ ხმარობენ.

როგორ არის ამ მხრივ საქმე სიეტლში? — კეთილი ნების თამაშებზე მიმდებარებული 25 ექიმი მთელი ლაბორატორიული მუშაობა, მაგრამ წესის დარღვევის ფაქტები ჯერ-ჯერობით არ არის ფიქსირებული. სპორტსმენები დოპინგ-კონტროლს გადიან შეჯიბრების დამთავრებისთანავე. მაგრამ ჯერ მათ ეძლევათ 1 საათი თავისუფალი დრო ჯილდოების მისაღებად და პრესკონფერენციებში მონაწილეობისათვის. მთელი ამ ხნის მანძილზე მათ (ლაპარაკია პრიზორებზე) თან დაბყვებიან საექიმო სამსახურის მიერ მიმდებარებული "მეთვალყურეები". ისინი თვალს ადევნებენ იმას, რომ სპორტსმენებმა წყალი დალიონ ოფიციალური ქილებით ან ბოთლებით და არ შეცვალონ შარდი, რომელიც თვითმფრინავებით სპეციალურ ლაბორატორიებში გაიანალიზება.

მელიც თვითმფრინავებით სპეციალურ ლაბორატორიებში გადააქვთ. სპორტსმენებს არჩევენ თითო ამერიკელი და საბჭოთა ექიმი, აგრეთვე, ერთი სხვა რომელიმე ქვეყნის წარმომადგენელი. ჯარდა კონტროლისა, ექიმები სპორტსმენებთან განმარტებით მუშაობასაც ეწყვიან — უსხნიან, რომ შეჯიბრების დროს, არავითარი აღმგზნები პრეპარატის მიღება არ შეიძლება (მკურნალობის მიზნითაც კი).

უსაფუძვლო შეპი

კეთილი ნების თამაშების ჩატარების იდეას, თავის დროზე, ოლიმპიურ კომიტეტში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. ისინი უშიშნებულნი იყვნენ იმით, რომ ტურნირის იდეას ჩრდილი არ მიეყენებინა თვით ოლიმპიური თამაშებისთვის. ამ აზრს არ იზიარებდა სოკის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანი, რომელმაც არაერთხელ დაუჭირა მხარი სპორტსმენთა მიერ კეთილი ნების გამოხატვის სურვილს. ერთხელ ამერიკის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა რობერტ ჰელმიკმა თქვა: აღმიაჩნია, რომელიც სპორტისთვის მილიონ დოლარს გაიმეტებს, ყოველმხრივ პატივისცემის ღირსიაო. მაგრამ ჰელმიკსაც საკმაოდ დიდი ჯაფა დააღება, რათა დაერწმუნებინა თავისი კომიტეტის წევრები თამაშების საჩვენებლობაში. მისი აზრით, კეთილი ნების თამაშები ხალხს უნებარება XX საუკუნის ბოლო წლების რეალიზების უკეთესად გაგებაში და არავითარ შემთხვევაში არ აყენებს ჩრდილს ოლიმპიურ თამაშებს.

იმედის თვალთ უყურებენ, ვინაიდან კეთილი ნების თამაშებზე საასპარეზოდ ჩასულია გიორგი ჩოგოვაძეც. მაგრამ იგი კოშკიდან მსტომელთა ტურნირში გამოდის, ისინი კი სტარტს დღეს იღებენ, თამაშების ბოლო დღეს.

ფიგურისტ ვაჟთა შეჯიბრებებში დიდხანს ლიდერად ვიქტორ პეტრენკო ითვლებოდა, მაგრამ ნებისმიერი ვარჯიშების შემდეგ მას ცნობილმა კანადელმა კურტ ბრაუნინგმა გადაუსწრო. პეტრენკო II ადგილზე დარჩა, ბრინჯაოს ჯილდო კი ახალგაზრდა, ჯერ გამოუცდელმა ამერიკელმა ტოდ ელდრიჯმა დაისაკუთრა. წყვილთა სრიალში, როგორც მოსალოდნელი იყო, სამივე საბრძოლო ადგილი საბჭოთა ფიგურისტებს ხვდათ. მათში უძლიერესნი ეკატერინა გორდევია და სერგეი გრიბკოვი იყვნენ.

ჩატარდა ფრენბურთულ ვაჟთა ნახევარფინალური მატჩები. სსრ კავშირის ნაკრებმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა კუბის გუნდი (3:2), იტალიელებმა კი აშშ-ს ფრენბურთელებს მოუგეს (3:1). გუნდის გაიმართა ფრენბურთულთა ტურნირის დასკვნითი შეხვედრები. პირველი ადგილისთვის იბრძოდნენ იტალია და სსრ კავშირი, მესამე ადგილისთვის — აშშ და კუბა, მეხუთე ადგილისთვის — პოლანდია და საფრანგეთი, მეშვიდე ადგილისთვის კი — ბრაზილია და არგენტინა.

დღეს კეთილი ნების თამაშების ბოლო დღეა. ჩემპიონები გამოვლინდებიან შაბათს პოკეში, კრივში (48, 57, 63,5, 71, 81 კგ-სა და მი-



სიბაძლი.

ფოტოსურათები მიღებულია სიეტლში „ლელო“ ხაიკონსონდენტო პუნქტიდან.

მე წინაში), კალაბურთში (ქალე-ბი), 10-მეტრიანი კოშკიდან წყალბურთში ხტომაში. დღესვე მოეწყობა საჩვენებელი გამოცდები ციფურებით ფიგურულ სრიალში. კვირას ჩატარებული ყველა შეჯიბრების შედეგები გვეცოდინება ორშაბათს, 6 აგვისტოს.


ქართველ გულშემატკივრებს, ბუნებრივია, აინტერესებთ ძიუდოსიტა ტურნირის შედეგები. შეჯიბრებებში, რომ 71, 78, 86, 95 და მიმდებარის ათლეტები შაბათს ასპარეზობდნენ და პრიზორთა ვინაობა ჩვენთვის მხოლოდ დღეს იქნება ცნობილი.

სპორტული ლატარიების მოყვარულთა საუკრადლო

სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური საწარმო ვაცნობებთ, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე სარკინიგზო ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებებთან დაკავშირებით ვერ მივიღეთ ლატარიების „სპორტლოტოსა“ და „სპორტპროგრესის“ 30-ე ტირაჟის „ბგ“ ნაწილები ქალაქებიდან: საჩხერე, ჭიათურა, მარტვილი, ზულო, შუახევი და

ქედა, რის შესახებ განცხადება გამოქვეყნდა გაზეთ „ლელო“ 29 ივლისის ნომერში. სპორტული ლატარიების ჩატარების პირობების თანახმად, 30-ე ტირაჟის ბილეთების „ბგ“ ნაწილები, რომლებიც ზემოაღნიშნულ ქალაქებიდან უკვე შემოვიდა საწარმოში, მონაწილეობას მიიღებენ 31-ე ტირაჟში.

„სასპორტლოტო“



თბილისის ეროვნული სტადიონი (ა. წერეთლის გამზირი, 2)

9 აგვისტო • ფხვხურთი
საპარტვილოს ეროვნული ჩემპიონატი
„იზაგრა“ (თბილისი) — „გორდა“ (რუსთავი)
დასაწყისი 20 საათზე
მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალონებში 8 და 9 აგვისტოს 10 საათიდან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).

თბილისის ავლაზარის სტადიონი (ბოქორძის ქუჩა, 18)
8 აგვისტო • ფხვხურთი
საპარტვილოს ეროვნული ჩემპიონატი
(შეორე ლიგა, აღმოსავლეთი ქვეჯგუფი)
„მრეხაგრა“ (თბილისი) — „რუსთავი“ (რუსთავი)
დასაწყისი 17 საათზე.

„სპორტლოტო“

გაერთიანება „სოიუსსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 30-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.245.700 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნიდა. 5 ნომრის გამოცნობისთვის (32) მოგება 1.767 მანეთია, ოთხისთვის (1.595) — 35, სამისთვის (24.828) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 31799 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—33, 3—514.

„სპორტლოტო 5 86“-დან: ტირაჟში დაშვებულია 13.401.581 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (28) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (4.637) — 131, სამისთვის (159.785) — 7.

საქართველოში: დაშვებულია 341015 ვარიანტი. 5—0, 4—121, 3—4180.

30-ე და 21-30 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 18 აგვისტოდან 18 სექტემბრის ჩათვლით.

„სპორტპროგრესი“

გაერთიანება „სოიუსსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგრესის“ 1990 წლის 30-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 1.951.402 ვარიანტი.

13 შედეგის გამოცნობისთვის (1) მოგება 10000 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (111) — 527 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (1.270) — 176 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 98211 ვარიანტი. 13—0, 12—4, 11—59.

30-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 18 აგვისტოდან 18 სექტემბრის ჩათვლით.

რედაქტორის მავიერ თ. მიხრიანული

საქართველოს სპორტსაბჭოში და ფარიკაობის რესპუბლიკური ფედერაცია თანაგრძობას უცხადებენ საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ფარიკაობაში მაღალვა გაბუნას შვილის. თამარიკო გაბუნას გარდაცვალების გამო.

„ლელო“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ჩოჩიშვილი, კორექტორები მ. ძემაძე და ე. ხომერიკი.

კენი მისაზარაძე: წერილებისთვის — 020000, თბილისი, მ. კახტავა ქ. 14, დღეგრძელებისთვის — თბილისი, „ლელო“.	კადაშიძის ბალნეოლოგია: წერილების განყოფილება — 02-07-55, საბავშვო — 02-07-52, ინფორმაციის განყოფილება — 02-07-54, „მერანა“ — 02-07-20, „მარტვი“ — 02-07-27.	88050 ინფორმაცია: 06485
--	---	-------------------------------

საქართველოს კვ. ც. ა. ს. გამომცემლობის შრიბის წითელი დროშის ირ-
ფინიანს ბაზა. 380000, თბილისი, მ. კახტავა ქ. 14.
აბეჭდება თბილისში წიხი სავაჭრო კომპლექსში: სიმაზარაძის, 29.
ხელნაწი ავტორებს არ უბრუნდება.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20